ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2413733

ნომერი: AR1373842

თარიღი : 28.01.2016

გაცემის თარიღი : 04.02.2016

გაცნობის თარიღი : 04.02.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ახმეტელისა და დავით აღმაშენებლის ხეივნის გადაკვეთა; ქალაქი თბილისი , ახმეტელის ქუჩასა და აღმაშენებლის ხეივნის გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ევგენია გრიგორიანი პ/ნ 61001034701
- ბათუმი გ.ბრწყინვალეს ქ. N 12

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1373842 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ##01.13.01.022.055, 01.13.01.022.127) გაერთიანებისა და შემდგომ ავტოსამრეცხაოს განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის ფართობიდან და კონფიგურაციიდან გამომდინარე ვერ მოხერხდება 2001 წლის 24 იანვარის #01.14.11 დადგენილებაში დაფიქსირებული მოთხოვნების დაცვა (იხ. დანართი). კერძოდ, ავტოსამრეცხაოების ღია სექციების მომსახურება განხორციელდეს მიწის ნაკვეთის შიდა ეზოს მხრიდან, ცენტრალური ქუჩიდან ჩაუხედაობის პრინციპის დაცვით.
ყოველივე ზემოთთქმულიდან, გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.